19/12/2018

გლდანში წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარი აშენდება

Image not found or type unknown

გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გულია გოცირიძის შუამდგომლობით, გლდანის ,,ა“ მ/რ-ის ტერიტორიაზე ტაძრის ასაშენებლად მიწა გამოიყო.

საკრებულოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეკლესიისთვის განკუთვნილი ტერიტორია ბარბარობის ბრწყინვალე დღესასწაულზე აკურთხეს და აქ სამშენებლო სამუშაოები ერთ კვირაში დაიწყება.

„ცერემონიას მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე, გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე, ,,თბილისზე მზრუნველის“ წოდების მატარებელი თემურ გოცირიძე, სასულიერო პირები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდნენ.

უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ტაძარი წმინდა მოწამე ქალწულ ბარბარეს სახელობის იქნება.

მშენებლობის ინიციატორები მამა დავითი და მამა ზაზა მსახურებას ახალ ტაძარში გააგრძელებენ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.